ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაციასა და

შპს „თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს“ შორის

სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაცია (CELA), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის თამარ ქარაიას სახით და შპს „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი“ წარმოდგენილი მისი რექტორის მოადგილის ლია ჭიღლაშვილის სახით, ვდებთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რათა ხელი შევუწყოთ შპს „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის“ სტუდენტების სამოქალაქო კომპეტენციების ამაღლებას და კურსის ლექტორების პროფესიულ ზრდას.

მუხლი 1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანს წარმოადგენს ასოციაციასა და უნივერსიტეტს შორის (შემდგომში „მხარეები“) ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობა მემორანდუმით გათვალიწინებული მიზნების მისაღწევად.

მუხლი 2. მემორანდუმის მიზანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია მხარეების თანამშრომლობის გზით სამოქალაქო განათლების სწავლების ხელშეწყობა და უნივერსიტეტის სტუდენტების ჩართულობა ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში. მემორანდუმის პირობების თანახმად, მხარეები ითანამშრომლებენ სამოქალაქო განათლების სასწავლო კურსის „დემოკრატია და მოქალაქეობის“ დანერგვის და მონიტორინგის, კურსის ლექტორთა პროფესიული განვითარებისა და სასწავლო მასალების შემდგომი დახვეწის მიზნით, რომლებიც შემუშავებულ იქნენ საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის (IFES) მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერილი პროექტის „საარჩევნო და პოლიტიკური პროცესების მხარდაჭერა საქართველოში“ (EPPS) ფარგლებში. თანამშრომლობის მიზანია სამოქალაქო განათლების განვითარების ხელშეწყობა უნივერსიტეტში სამოქალაქო განათლების კურსის „დემოკრატია და მოქალაქეობის“ დანერგვის გზით, ასევე, ლექტორების უნარების განვითარება მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობების ცოდნისა და თეორიული კონცეფციების რეალურ ცხოვრებაში გამოყენებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განხორციელების გზით.

მუხლი 3. ასოციაციის ვალდებულებები

სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაცია (CELA) იღებს ვალდებულებას, შპს „თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს“ საჭიროებისამებრ, გაუწიოს დახმარება შემდეგ საკითხებში:

ა) გადაამუშაოს კურსის „დემოკრატია და მოქალაქეობის“ სილაბუსი უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამის შესაბამისად;

ბ) მიაწოდოს ლექტორებს საუნივერსიტეტო კურსის სწავლებისთვის საჭირო როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი საკითხავი მასალა ბეჭდური ან ელექტრონული სახით;

გ) გადაამზადოს უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული ლექტორები სამოქალაქო განათლების ინტერაქტიული სწავლების მეთოდებში, უზრუნველყოს მათთვის სემინარებისა და ტრენინგების ჩატარება, მიაწოდოს საჭირო ინსტრუქციები, მეთოდოლოგიური ლიტერატურა და სხვა საჭირო ინფორმაცია, რაც აუცილებელია კურსის უმაღლეს საგანმანათლებლო დონეზე ეფექტიანად სწავლებისათვის.

მუხლი 4. უნივერსიტეტის ვალდებულებები

შპს „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი“ გამოხატავს მზადყოფნას სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაციას (CELA) საჭიროებისამებრ, გაუწიოს დახმარება შემდეგ საკითხებში:

ა) უზრუნველყოს უნივერსიტეტში IFES-ის მიერ შემუშავებული სამოქალაქო განათლების კურსის „დემოკრატია და მოქალაქეობის“ სწავლება ასოციაციის მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

ბ) შესთავაზოს ასოციაციას ლექტორები, რომლებიც კურსის ინტერაქტიული სწავლების მეთოდებში გადამზადების შემდეგ ჩაერთვებიან უნივერსიტეტში „დემოკრატია და მოქალაქეობის“ სწავლებაში. ასევე, უზრუნველყოს კურსის ლექტორების ასოციაციის მიერ ორგანიზებულ სემინარებსა და ტრენინგებზე დასწრება.

მუხლი 5. სტანდარტული პირობები

ა) ხელმომწერები ინარჩუნებენ თავიანთ განსაკუთრებულ მისიებსა და მანდატებს და საკუთარ ანგარიშვალდებულებას. მხარეებსა და მოწმეს შორის თანამშრომლობა, რაც ასახულია წინამდებარე მემორანდუმში, არ განიხილება, როგორც ვალდებულებები, წარმოშობილი იურიდიულ პირებს ან სხვა ორგანიზაციებს შორის. წინამდებარე მემორანდუმის არცერთი პირობა არ განიხილება, როგორც სხვა შეთანხმებების ან ხელშეკრულებების ნაწილი და არ ცვლის მათ პირობებს არც ამ მემორანდუმის ხელმოწერამდე და არც მისი ხელმოწერის შემდეგ;

ბ) არსებული მემორანდუმის პირობები, არც პირდაპირ და არც ირიბად წარმოშობს მხარეების და მოწმის რაიმე ფინანსურ ან/და სამართლებრივ, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ვალდებულებებს, რომლებიც არ არის განხილული ამ მემორანდუმში;

გ) ამ მემორანდუმის თითოეული ხელმომწერი მემორანდუმის გაფორმების მომენტში ფლობს და მომავალშიც გააგრძელებს თავის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტთან დაკავშირებული ყველა უფლების ფლობას, (იგულისხმება, მათ შორის, სავაჭრო ნიშნები, საავტორო უფლებები, პატენტები, გამოგონებები, ნოუ-ჰაუ, სავაჭრო საიდუმლოებები და სხვა სამსახურებრივი ინფორმაცია), რომელიც არსებობდა ამ მემორანდუმის გაფორმებამდე ან შექმნილია ასეთი მხარეებისა და მოწმის მიერ ამ მემორანდუმთან დაკავშირებით განხორციელებული ნებისმიერი თანამშრომლობისგან დამოუკიდებლად;

დ) ხელმომწერთა მიერ წინამდებარე მემორანდუმის შესაბამისად ნაწარმოების შექმნის შემთხვევაში ინტელექტუალური საკუთრების უფლება თანაბრად ეკუთვნის მხარეებსა და მოწმეს და თითოეულს ექნება ნაწარმოების გამოყენების მუდმივი ლიცენზია. თუ რომელიმე ხელმომწერს სურს შექმნას გადამუშავებული ან შედგენილი ნაწარმოები ზემოაღნიშნულ ნაწარმოებზე დაყრდნობით იგი ვალდებულია, მიიღოს წერილობითი ნებართვა მეორე მხარისგან და მოწმისგან;

ე) მემორანდუმში ხელმომწერთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია ცვლილებისა და დამატების შეტანა, რომელიც ფორმდება წერილობით, წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაში შედის მხარეთა და მოწმის მიერ ხელმოწერის დღიდან;

ვ) წინამდებარე მემორანდუმთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა ხელმომწერებმა უნდა გადაწყვიტონ ურთიერთშეთანხმების გზით. წინამდებარე მემორანდუმი ხელმოწერილია 2023 წლის 5 ოქტომბერს ექვსი (6) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად: სამი ქართულ ენაზე, სამი ინგლისურ ენაზე, რომელთაგან თითო ეგზემპლარი ინახება ხელმომწერ მხარესთან. ქართულ და ინგლისურ ეგზემპლარებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულენოვან ვერსიას.

სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაცია (CELA)

_____

თამარ ქარაია, აღმასრულებელი დირექტორი

შპს „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი“

_____

ლია ჭიღლაშვილი, რექტორის მოადგილე

ადასტურებს:

საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში (IFES)

_____

რენატა ლევოვსკი, წარმომადგენლობის ხელმძღვანელი